

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის მეთოდოლოგიისა და დისტანციური ზედამხედველობის განყოფილების იურისტის პოზიციაზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით სამართლებრივი დოკუმენტების: კანონპროექტების, ბრძანებების, დადგენილებების, განკარგულებების, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება და სამართლებრივი ექსპერტიზა;
- უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, განზოგადება და მათი საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაცია;
- გასაფორმებელი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და მემორანდუმების პროექტების მომზადება და სამართლებრივი ექსპერტიზა;
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით და სექტორისათვის შესაბამისი განმარტებების მიცემა.

სავალდებულო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სფეროში;
- უპირატესობა მიენიჭება სამართლებრივი ექსპერტიზის კუთხით მუშაობის გამოცდილებას;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (საუბარი და წერა);
- საოფისე პროგრამები (Word, Excel, PowerPoint);
- შემდეგი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები; „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებები და ნორმატიული აქტები;

უნარები

- ეფექტური წერითი კომუნიკაცია;
- ანალიტიკური აზროვნება;
- კრიტიკული აზროვნება;

- შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი;
- ხარისხზე ორიენტაცია;
- დისციპლინირებულობა და აკურატულობა.

თანამდებობრივი სარგო: 1800 -2200 ლარი

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2018 წლის 24 იანვრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge. სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - **იურისტი**.